ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 4

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული
კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის, გიორგი ჭიღვარიას კანდიდატურის შეყვანის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 33-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის, 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 98-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. ჩატარდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები ფარული კენჭისყრით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შეყვანილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გიორგი ჭიღვარიას კანდიდატურა.

მუხლი 3. ფარული კენჭისყრა გაიმართოს ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირის №3–ში არსებული შენობის მე–2 სართულზე არსებულ სხდომათა დარბაზში.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს პირველი
სხდომის თავმჯდომარე ——— მარეხ სიჭარაძე

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. № 4
3 11 2025 წ.